სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის უცხო ენების კათედრის სხდომის

ოქმი N3

17.01.2022წ.

სოფელი ქვედა საზანო

სხდომის დაწყების დრო : 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

კათედრის წევრები: ნინო კერესელიძე, თამარ ჩუბინიძე, ქრისტინე ვაშაკიძე, ნადეჟდა ბუცხრიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა: 0

სხდომა გახსნა კათედრის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ჩუბინიძემ. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

მომხრე-4 მასწავლებელი

წინააღმდეგი- 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი:

1. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვა .

2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების განხილვა.

საკითხი 1. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვა

მომხსენებელი: კათედრის თავჯდომარე თამარ ჩუბინიძე.

მოისმინეს: კათედრის თავჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი. მან კათედრის წევრებს მოახსენა, რომ მეორე სემესტრში კათედრის მიერ განსახორციელებელია რიგი აქტივობები სამოქმედო გეგმის მიხედვით: მასწავლებლებს შორის ურთიერთდასწრება , პროექტი: „ როგორც გიდი წარმოგიდგენთ“ და პროექტი „გავუფრთხილდეთ პლანეტა დედამიწას“. კარგი იქნებოდა თავიდანვე თადარიგის დაჭერა, რათა მოხდეს ამ პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება კათედრის წევრებს შორის და გააქტიურება.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს: ნინო კერესელიძემ გამოთქვა აზრი, გაგრძელდეს თანამშრომლობითი დასწრებები კომპლექსური დავალებების ეტაპებზე. დაიგეგმოს შეხვედრები, სადაც თითოეული კათედრის წევრი წარმოადგენს ახალ იდეას.

ნადეჟდა ბუცხრიკიძემ აღნიშნა, რომ მასწავლებელთა ხშირი ურთიერთდასწრების დაგეგმვა და განხორციელება პედაგოგებს დაეხმარება აღმოფხვრან ის პრობლემები, რომელიც აქტიურად ხვდებათ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მასწავლებლები შეძლებენ გაიუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა და ასევე ეს დაეხმარება მათ უკეთესი შედეგის მიღწევაში.

კათედრის თავჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

მოწინააღმდეგე-0

კენჭისყრის შედეგათ კათედრამ დაადგინა:

ცნობად იქნას მიღებული კათედრის თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან და კათედრის წევრთა შორის ურთიერთდასწრების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

საკითხი 2. ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების განხილვა.

მომხსენებელი: კათედრის თავჯდომარე თამარ ჩუბინიძე.

მოისმინეს: კათედრის თავჯდომარემ კათედრის წევრებს აცნობა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილების შესახებ. კერძოდ 2020-2021 წლის მეორე სემესტრიდან მე-8 კლასს ინგლისურ ენაში მოაკლდა ერთი საათი. ასევე შეახსენა , რომ პირველ კლასი მეორე სემესტრიდან იწყებდა ინგლისური ენის შესწავლას-კვირაში ერთი საათი.

კათედრის თავჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას კენჭი ეყარათ აღნიშნული საკითხისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -4

მოწინააღმდეგე-0

კენჭისყრის შედეგათ კათედრამ დაადგინა:

ცნობად მიიღონ კათედრის თავჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებისთ სხდომა დაიხურა.

სხდომის დასრულების დრო : 14:00 სთ.

კათედრის თავჯდომარე / თ. ჩუბინიძე/

მდივანი **/ ნ. კერესელიძე/**

/ნ.ბუცხრიკიძე/

/ქ. ვაშაკიძე/